23
ნოემბერი
ხუთშაბათი,
1961 წ.
№ 190 (1826)
ᲨᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-18 ᲬᲔᲚᲘ.
ფასი 3 კაპ.

ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲠᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲒᲠᲜᲘᲐᲩᲙᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐ. (ტელეფონით). 22 ნოემბერი. ჯერ კიდევ გუშინ საღამოს მოგვიოცა ბორისენკომ დიდი წარმატება, — დაიწყო საუბარი შიშოვმა. — ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამან ხელი აიღო ნონას უიმედო დევნაზე. ამიტომ XVI ტურში, რომელიც დღეს შედგა, ბორისენკო უკვე მე-14 სვლაზე ყაიმზე შეუთანხმდა პოლიქრონიადეს.

ამ დროს დარბაზი ახმაურდა. მონაწილენი მიდიოდნენ გაფრინდაშვილთან, რომელიც ამერიკელ გრესერს ეთამაშებოდა, და ულოცავდნენ პირველ ადგილს. ერთბაშად ნონა ვერ გაერკვა რა მოხდა.

— თქვენ უკვე 2,5 ქულით უსწრებთ ბორისენკოს, — აუხსნეს მას. — გამარჯვება განაღდებული გაქვთ.

ნონას ესიამოვნა ამის გაგონება, მაგრამ მაინც არ მიიღო გრესერის შეთავაზებული ყაიმი. თითქოს ტურნირს ახლა იწყებდა, ისეთი ინტერესით აგრძელებდა თამაშს. მხოლოდ, როცა გრესერმა მესამედ გაუკეთა დაზავების წინადადება, იგი ღიმილით დათანხმდა. „რა მექნა, უხერხული იყო“ — უთხრა შემდეგ თავის მწვრთნელს.

როგორც კი გაფრინდაშვილი ჩამოვიდა სცენიდან, მას შემოეხვივნენ მოხიბლული მაყურებლები, მოჭადრაკეები.

— გულწრფელად გილოცავთ უდიდეს მიღწევას,—ხელის მაგარი ჩამორთმევით უთხრა ნონას გამოჩენილმა იუგოსლაველმა გროსმაისტერმა ს. გლიგორიჩმა, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა შეჯიბრების ბოლო ტურებზე დასასწრებად. — თქვენს საშობლოს შეუძლია იამაყოს თქვენით.

— გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მილოცვები და საჩუქარი, — მომართეს ტურნირის გმირს უნგრელებმა — კარაკაშნემ და მისმა მწვრთნელმა სილადიმ. — ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ჭადრაკისათვის ხართ დაბადებული.

თითქმის მთელ საღამოს არ წყდებოდა მილოცვების ნაკადი. უცნობი და ნაცნობი თავს მოვალედ თვლიდა თავისი აღტაცება და სიმპათიები გამოეთქვა ქართველი გოგონასათვის.

— აქ, დარბაზთან, — განაგრძო შიშოვმა, — არის კარგი სასაუზმე, სადაც ლიმონადთან ერთად მოინახება უფრო მაგარი სასმელებიც. არ დავბნეულვართ, ქართული წესით იქ მივიწვიეთ მთავარი მსაჯი, მწვრთნელები, ს. გლიგორიჩი, სხვა იუგოსლაველი ოსტატები და ტურნირის გმირის — ნონა გაფრინდაშვილის სადღეგრძელო შევსვით.

ამასობაში სხვა დაფებზე გრძელდებოდა ცხარე ბრძოლა. ზატულოვსკაიამ უკეთეს მდგომარეობაში ვერ შეამჩნია თუ როგორ დაემუქრა მხედრით კონარკოვსკა მას ლაზიერს და დაკარგა იგი. ბაქოელმა იქვე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ზვორიკინამ თავი დაიღწია სიძნელეებს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა შოდე დე სილანთან. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ჰუნდსურენს ზედმეტი პაიკი აქვს ლაზარევიჩთან, ნიკოლაუს პოზიციური უპირატესობა რინდერთან, ვოლპერტს — ჰეემსკერკთან, ხოლო ნედელკოვიჩ-ლეონის პარტია თანაბარ მდგომარეობაშია შეწყვეტილი.

— როცა სასტუმროში ვბრუნდებოდით, ერთი სული მქონდა დროზე დაგერეკათ, რათა მალე მეცნობებინა საქართველოში ჭადრაკის გულშემატკივრებისათვის საინტერესო ამბავი, — თქვა შიშოვმა, — ნონა ჩამომრჩა. „შეიკლეს“ ბავშვი ავტოგრაფების მოყვარულებმა.

ხანამ ნონა მოვიდოდა, შიშოვმა წაგვიკითხა, რას წერდნენ იუგოსლავური გაზეთები. მაგალითად, ყოველკვირეული ილუსტრირებული გაზეთი „პოლიტიკა“ გაფრინდაშვილის თამაშს ადარებს ტალის კომბინაციურ სტილს. „სპორტი“ აღნიშნავს, რომ ნონას გამარჯვება სავსებით ბუნებრივია იმ დიდი ტალანტისათვის, რომლითაც იგი დაუჯილდოვებია ბუნებას.

ტელეფონთანაა ნ. გაფრინდაშვილი. ჩვენ ყველა გულშემატკივარის სახელით მივულოცეთ მას მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის მატჩში მონაწილეობის მოპოვება.

— დიდი მადლობა, — გვითხრა ნონამ. — მადლობა ყველას, ვინც იზიარებდა ჩემს ბრძოლას. ყოველ წუთს ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას და ეს მმატებდა ენერგიას. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი ის, რაც ბევრ მოჭადრაკეს ოცნებად ჰქონდა და აქვს გადაქცეული — ითამაშოს მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის.

ტურნირი ფაქტიურად არ დამთავრებულა, მაგრამ მან თავისი მისია უკვე შეასრულა — გამოავლინა მსოფლიო ჩემპიონის ე. ბიკოვას მეტოქე.

24 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, 24-ში — დასკვნითი, XVII ტური. 25 ნოემბერს ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

კიდევ რამდენიმე დღე და ჩვენი სახიერადულო მოჭადრაკე თავის საყვარელ სამშობლოში დაბრუნდება.

მალე შეხვედრამდე, ნონა!

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ XVI ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ (23 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ს. ჰუნდსუორენი (მოხ. ოლეთი)	1	X	0	0	0	1/2	1/2	1/2	0	0	0	0	0	0	0	0	*	—
ა. რინდერი (გფრ)	2	1	X	0	0	1/2	1	1/2	1	0	0	0	0	0	1	*		0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	1	1	X	1/2	1/2	1	1/2	1	1/2	0	1/2	1/2	1/2	*		0	1
ე. კოლიქრონიადე (რუმინეთი)	4	1	1	1/2	X	1/2	1	1	0	0	1/2	1/2	0	1/2		1/2	0	0
ბ. გრესერი (აშშ)	5	1/2	1/2	1/2	1/2	X	0	1	1	0	0	*	1/2		1	1/2	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6	1/2	0	0	0	1	X	1/2	1/2	1	*	1/2		1/2	0	1/2	1/2	0
ბ. კონარკოვსკა (პოლონეთი)	7	1/2	1/2	1/2	0	0	1/2	X	1/2	*	1		0	1/2	1/2	1/2	1	1/2
ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია)	8	1	0	0	1	0	1/2	1/2	X	*		1	0	0	0	0	0	1/2
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9	1	1	1/2	1	1	0	*	*	X	1	0	0	1/2	1	0	1/2	1
ტ. ზატულოვსკაია „	10	1	1	1	1/2	1	*	0		0	X	1	0	0	1	1	0	0
ა. ზვორიკინა „	11	1	1	1/2	1/2	*	1/2		0	1	0	X	1/2	1	1	0	1	0
ნ. გაფრინდაშვილი „	12	1	1	1/2	1	1/2		1	1	1	1	1/2	X	1	1/2	1	1	1/2
ვ. ბორისენკო „	13	1	1	1/2	1/2		1/2	1/2	1	1/2	1	0	0	X	1	1	1	1
ლ. ლეონი (აშშ)	14	1	0	*		0	1	1/2	1	0	0	0	1/2	0	X	1	0	*
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15	1	*		1/2	1/2	1/2	1/2	1	1	0	1	0	0	0	X	1	1
ვ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16	*		1	1	1	1/2	0	1	1/2	1	0	0	0	1	0	X	1
ე. კარაკაშნე (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	1/2	1/2	0	1	1	1/2	0	*	0	0	X

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

როგორც კი საბჭოთა კავშირის XXIX ჩემპიონატის მონაწილეებმა შეიტყვეს ნ. გაფრინდაშვილის დიდი წარმატების ამბავი, გროსმაისტერმა ჰ. ტალმა საამაყო ქართველ მოჭადრაკეს გაუგზავნა ქვემოთმოყვანილი დეპეშა. ტურნირის სხვა მონაწილეებმა საერთო დეპეშით მიულოცეს ნ. გაფრინდაშვილს ბრწყინვალე გამარჯვება და სხვათაშორის სთხოვენ მას ორი ღღით მაინც ჩავიდეს ბაქოში.

• • •

ᲓᲔᲙᲔᲞᲔᲨᲐ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ. ᲒᲠᲜᲘᲐᲩᲙᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐ. **მსოფლიოს ჩემპიონის სახელის პრეტენდენტს ნ. გაფრინდაშვილს.**

სულით და გულით გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. ვიზიარებ საქართველოს საჭადრაკო საზოგადოებრიობის სიხარულს. შევეცდები მივბაძო თქვენს მაგალითს.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲢᲐᲚᲘ.

ბაქო, 22 ნოემბერი.

ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲠᲘ

ᲑᲐᲥᲝ. (ტელეფონით). 22 ნოემბერი. XXIX ჩემპიონატის V ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები სმისლოვი და სპასკი. მოლოდინი, რომ პარტიაში წარმატებულ ბრძოლას ექნებოდა ადგილი, სავსებით გამართლდა. სპასკიმ ყველა მოხიბლა ლამაზად ჩატარებული ინერიშით. სმისლოვი ისეთ განსაცდელში აღმოჩნდა, რომ ვერ მოასწრო საკონტროლო ხელების გაკეთება 39-ე სვლაზე საათზე ალმი ჩამოუკარდა, რაც წაგებას ნიშნავდა.

კერიოზულად დასრულდა კერესის შეხვედრა ხასინთან. ესტონელმა გროსმაისტერმა 22-ე სვლისათვის აშკარა უპირატესობას მიაღწია. მაგრამ შვიდი სვლის შემდეგ უხეშად შეცდა, რასაც მოჰყვა ფიგურის დაკარგვა. 36-ე სვლაზე კერესი დანებდა.

ესპანურ პარტიაში გურგენიძემ ვერ გაათანაბრა თამაში ხოლმოვთან. გროსმაისტერმა მოპოვებული უპირატესობა მეთოდური თამაშით გამარჯვებამდე მიიყვანა.

რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა ვასიუკოვ-ტალის, გიასლის - ვლადიმიროვისა და ბრონშტეინ-ნეიშტადინოვის შეხვედრა. შამკოვიჩმა მოუგო კოცს.

სამი პარტია გადაიდო. საერთაშორისო ოსტატებს ტომანოვს, ავერბახს უკეთესი პოზიცია აქვს ბაგიროვთან, ხოლო პოლუგაევსკის — ლეონთან.

V ტურის შემდეგ ბ. სპასკის 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, რ. ხოლმოვს — 4 ქულა.

23 ნოემბერს გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 24 ნოემბერს ტურნირზე დასვენების დღეა.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲜ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ

თბილისს „ღინამოს“ ფეხბურთელთა კოლ ქტივმა თავისი მესამე საერთაშორისო შეხვედრა რევოლუციური კუბის ეროვნულ ნაკრებთან კვლავ გამარჯვებით დაამთავრა. ამ მატჩში თბილისელებმა 6 ბურთი გაიტანეს დათავის კარში არცერთი ბურთი არ მიუღიათ. სამი შეხვედრის ჯამია — 20:1 დინამოელთა სასარგებლოდ. თბილისელი ფეხბურთელები საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრნენ მექსიკაში.



ბაკურიანი მოუხმობს ზამთრის სპორტის მოყვარეებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. ვალუევი,

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ზამთარი მოვიდა... ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ველებზე, ურალში, ბაკურიანის მთიან ფერდობებზე, მოსკოვის მიდამოებში — ყველგან გამოჩნდნენ მოთხილამურეთა პირველი გუნდები, წვრთნა დაიწყეს მოციგურავეებმა, ფიგურისტებმა, დაიწყო ჰოკეისტთა ჩემპიონატები.

მიმდინარე ზამთრის სპორტული სეზონი იქნება დაძაბული და მრავალი სპორტული ღონისძიებებით სავსე. წელს, საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველად გაიმართება ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე მასობრივი შეჯიბრების სტარტზე გამოვა მოძმე რესპუბლიკების მოთხილამურენი, მოციგურენი, ფიგურისტები, ჰოკეისტები. რამდენიმე წლის წინათ ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, რადგან წლების განმავლობაში მთელ რიგ რესპუბლიკებში, რუსეთის ფედერაციის გარდა, სპორტის ზამთრის სახეობებს არასათანადო ყურადღება ექცეოდა.

სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება რუსეთის ფედერაციაში. აქ წლის დასაწყისში გაიმართა რსფსრ-ს ზამთრის მეორე სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6 მილიონზე მეტმა ფიზკულტურელმა, აღსანიშნავია ისიც, რომ მასში თავიანთი ძალები სცადეს მოძმე რესპუბლიკების გუნდებმაც.

სპორტის ზამთრის სახეობათა მოყვარულების რაოდენობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა უკრაინასა და ბელორუსიაში, უაზახეთში, ლატვიასა და ესტონეთში. უკრაინისა და ბელორუსიის ასეულ ათასობით მოთხილამურე მონაწილეობს სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში. ჭაბუკთა და გოგონათა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა დაიწყეს სპორტის ზამთრის სახეობათა შესწავლა საქართველოში, ხომხეთში, ყირგიზეთსა და ლიტვაში. 4 მილიონამდე საბჭოთა ადამიანი უოველდღიურად ვარჯიშობს უინულსა და სათხილამურო ბილიკებზე, ოსტატდებიან საწარმოების, დაწესებულებების, სახბჭოთა მეურნეობების, სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების სექციებში.

რესპუბლიკებში სათხილამურო და საციგურო სპორტის, ფიგურული სრიალის განვითარებამ შექმნა საშუალება მიმდინარე წლის თებერვალში ალმა-ატაში გამართულიყო მასობრივი შეჯიბრება უკრაინის, ბელორუსიის, უაზახეთის, საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთის, ხომხეთისა და ესტონეთის 800 სპორტსმენის მონაწილეობით.

ამ შეჯიბრების დღეებში 26 სპორტსმენმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, ხოლო გასულ სეზონში სულ მომზადებულ იქნა 583 ოსტატი.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ უკრაინის, ბელორუსიის, უაზახეთის, საქართველოს, ლიტვის, ესტონეთის წამყვანმა სპორტსმენებმა მიაღწიეს მაღალ შედეგებს და შეუვანილნი არიან საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში. ასე მაგალითად, მისი რიგები შეავსეს უკრაინელმა მოთხილამურეებმა ხუროვცევმა, დუდკომ და ბახტურინმა, ფიგურისტებმა დროზდენკომ და ორლოვმა. ტრამპლინიდან მხტომელმა პანჩევსკიმ და მოციგურე მატუსევიჩმა ბელორუსიიდან. სლალომისტმა გოგოლაძემ საქართველოდან, ყირგიზელმა მოთხილამურემ პოპოვმა და სხვებმა.

„თ ე თ რ ი“ სპარტაკიადა

საბჭოთა კავშირის ხალხთა I ზამთრის სპარტაკიადის მიზანია მასობრივად მიიზიდოს ამ სახეობის მოყვარულნი, ხელი შეუწყოს სასწავლო სპორტული მუშაობის განვითარებას, ოსტატობის ზრდას. ზამთრის I საკავშირო სპარტაკიადა ამავე დროს იქნება ჩვენი გუნდების ევროპისა და მსოფლიო პირველობებისა და აგრეთვე ზამთრის IX ოლიმპიადისათვის მზადების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი.

სპორტულმა კავშირებმა, სპორტსაზოგადოებებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა მიაღწიონ იმას, რომ ფიზკულტურის კოლექტივების ახალგაზრდობამ მონაწილეობა მიიღოს მოთხილამურეთა და მოციგურეთა რაც შეიძლება მეტ შეჯიბრებებში, ამასთან ეს ღონისძიებანი არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა I ზამთრის სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებანი გაიმართება 1962 წლის 4-11 მარტს. შეხვედრები სამთო სახეობებში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში ჩატარდება ბაკურიანში. რბენებში, ზამთრის თანამედროვე ორჭიდში, ციგურაობაში, ფიგურულ სრიალსა და ჰოკეიში — ხვერდლოვსკში.

ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 10 რესპუბლიკის 12 გუნდმა: რსფსრ-მ, უკრაინამ, ბელორუსიამ, უაზახეთმა, საქართველომ, ლიტვამ, ლატვიამ, ყირგიზეთმა, ხომხეთმა და ესტონეთმა. რსფსრ-ს გამოყავს სამი გუნდი: ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მხარეთა ნაკრები, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები, ისე რომ ფინალში ოქროს მედლებისათვის იბრძოლებს 1500 სპორტსმენი.

მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები კოლექტივები, რომლებიც დაიკავებენ პირველ-მეხუთე ადგილებს, დაჯილდოვდებიან საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი პრიზებით. ცალკეულ სახეობებში პირველ-სამ ადგილზე გამოსული გუნდები—სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციებს საკავშირო საბჭოს გარდამავალი და სამახსოვრო პრიზებით.

სპარტაკიადასთან ერთდროულად მოეწყობა შეჯიბრებანი სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებათა გუნდებს შორის. პირველ ჯგუფში გამოვლენ საკავშირო საბჭოების, შეიარაღებულ ძალთა და რსფსრ-ს „ტრუდის“ გუნდები, მეორეში — სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების კოლექტივები.

საქართველოსა და ხვერდლოვსკის ფიზკულტურული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა უველაფერი გააკეთონ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. ეს მათი ღირსების საქმეა. სპარტაკიადამდე მცირე დრო დარჩა!

ნორჩი მოთხილამურეები ბაკურიანში.

ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია

კარგა ხანია ცნობილია, რომ ბაკურიანში წელს გაიმართება ზამთრის პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა და საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები სამთო სახეობებში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. მათში წარმატებით მონაწილეობისათვის დროზე შეუდგნენ სამზადისს მოთხილამურეები, ემზადებიან აჭარის სპორტსმენებიც.

რესპუბლიკურ სპარტაკიადაში აჭარის ნაკრები გუნდის წარმატებით მონაწილეობისათვის გადაწყდა ჩატარდეს საოლქო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბათუმის, ქედის, შუახევისა და ხულოს, აგრეთვე „განთიადის“, „დინამოს“, „კოლმეურნის“ მოთხილამურენი. უკვე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, შემუშავდა ღონისძიებები, მთა „ცისკარაზე“ დაიწყო ბაზების რეკონსტრუქცია.

აჭარის სპარტაკიადა სამ ეტაპად ტარდება. პირველ ეტაპზე მოეწყობა შეჯიბრებანი ფიზკულტურულ კოლექტივებში, მეორე ეტაპზე — ქალაქისა და რაიონების პირველობანი, და ბოლოს, ფინალში 11-16 იანვრამდე საოლქო სპარტაკიადაზე მოხდება ადგილებზე ჩატარებული მუშაობის შეჯამება, რის შემდეგ დაკომპლექტდება ნაკრები გუნდი.

საოლქო სპარტაკიადისათვის კარგად ემზადებიან „განთიადისა“ და „დინამოს“ კოლექტივები და საოლქო ნაკრებიც სწორედ ძირითადად მათი სპორტსმენებით დაკომპლექტდება, რასაც ვერ ვიტყვით „კოლმეურნის“ შესახებ. საოლქო საბჭოს თავმჯდომარე თავს იმართლებს იმით, რომ ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონებში დღემდე არ შემოუზიდავთ საჭირო რაოდენობის სათხილამურო ინვენტარი და ფორმები, მაგრამ ამ ხარვეზების დასაძლევად საოლქო საბჭოს მუშაკებსაც არაფერი გაუკეთებიათ.

ჩვენ დავუმატებდით: ინვენტარის ნაკლებობას მარტო სოფლის სპორტსმენები როდი განიცდიან. აჭარაში დღემდე ვერ იშოვით ჰოკეისა და საციგურო სპორტის ინვენტარს. გეგმით გათვალისწინებული 200 წყვილი მაღალხარისხოვანი თხილამურის, ციგურისა და ჰოკეის ინვენტარიდან დღემდე აქ არაფერი მიუღიათ.

სპარტაკიადამდე ცოტა დრო დარჩენილი, აჭარის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს კი ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

რ. ჩაჩუა

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 190 (1826)

მხოლოდ ნახევარი ქულით

მოსკოვში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში.

პირველობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა — უკრაინის გუნდძალრაპირაში და დაშნაში წარუმატებლად გამოსვლის გამო ფინალში ბრძოლის უფლება დაკარგა და პირველობისათვის ბრძოლა მოსკოვის, საქართველოსა და რსფსრ-ს გუნდებს შორის გაიმართა.

მოსკოვის გუნდმა საერთო ჯამში 53,5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს მოფარიკაველთა კოლექტივი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა გამარჯვებულს. მესამე ადგილზეა რსფსრ-ს გუნდი.

საქართველოს ესპადრონით მოფარიკაველთა გუნდმა (ა. შვანგირაძე, ა. გოგელია, ა. ბინინაშვილი, ა. ქვრივიშვილი), პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენი რაპირისტები და დაშნით მოფარიკაველები შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ.

პირად პირველობაში „სპარტაკის“ ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ა. გოგელიამ, რომელმაც ესპადრონით ფარიკაობაში ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა.

ვ. კოჩიაშვილი

„ტორპედოსთან“ ჭუთაისის „ბოლო“ მელია შეხვედრის დროს მრავალნენ პიონერებიც — საყვარელი გუნდის მომავალი გულშემატკივრები. საღამოს დამთავრების შემდეგ მათ ფეხბურთელებთან გადაიღეს ეს სურათი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

20 ნოემბერს ქუთაისის ფილარმონიის საზამთრო თეატრში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ქალაქის დაწესებულებათა, ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ახალგაზრდობა, სპორტის მოყვარულები, რომლებიც მოვიდნენ თავიანთი სახელოო გუნდის — „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის წევრებთან შეხვედრად.

„ა“ კლასის დებიუტანტთა წარმატებებზე და კოლექტივის მომავალ ამოცანებზე ილაპარაკა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ქუთაისის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ჩოგოვაძემ. გუნდის მწვრთნელმა ს. ერქომაიშვილმა დამსწრეთ მოუთხრო კიშინიოვში ჩატარებული პრეტენდენტთა ტურნირის შესახებ, გაარჩია ცალკეული მატჩები, ილაპარაკა გუნდის პერსპექტივებზე და ტორპედოელთა სახელით გულშემატკივრებს აღუთქვა, რომ კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს მოპოვებულ წარმატებათა შემდგომი შენარჩუნებისათვის. სიტყვით გამოვიდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბოჭორიძე, რომელმაც ქუთაისელ ფეხბურთელებს გადასცა სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ამ შეხვედრაზე სამახსოვრო თასი გადაეცა გცხოვრებოს, როგორც გუნდის საუკეთესო მცველს.

ფეხბურთელებს გულწრფელი სიტყვებით მიმართეს მოსწავლე პიონერებმა თ. არჩაიამ, გ. ონიანმა, სიტყვით გამოვიდა პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი გ. ჯანელიძე, ლექსი წაიკითხა პოეტმა ხ. მეტრეველმა.

საღამომ უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ლ. ფაჩუაშვილი

დალაშქრეს მწვერვალი

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტურისტულმა ჯგუფმა ალპინისტ ა. წიქრიძის ხელმძღვანელობით ამ დღეებში დალაშქრა მწვერვალი „ჩუმკუბა“. დილის 5 საათზე ჯგუფი დაიძრა სოფელ ახალშენისაკენ. განთიადისას მოლაშქრეებმა განვლეს ტყე და ალპიურ საძოვრებს ზევით მოექცნენ. დიდი სიხარული განიცადეს მსახიობებმა, როცა მწვერვალზე დაადგეს ფეხი.

მწვერვალზე მოლაშქრეებმა წითელი დროშა დაამაგრეს, რომელზედაც აწერია „მშვიდობა“. ხელოვნების მუშაკებმა მაღლობიდან ტურისტთა ბაზის მოლაშქრეთა წერილი წამოიღეს და სანაცვლოდ თავიანთი წერილი დატოვეს.

ნ. მიქაშავიძე,
სოხუმის თეატრის მსახიობი.

იაპონური შთაგეჭდილებები

პ. სტოლბოვთან საუბრიდან

თვითმფრინავის თვლები შეეხო ბეტონის ბილიკს და ჩვენც ხელად ნაცნობ-მეგობრების წრეში აღმოვჩნდით.

— რა ამბები იყო იაპონიაში?

— როგორია შთაბეჭდილებები?

მართლაც, როგორი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით ჩვენ, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, მომავალი ოლიმპიადის ქვეყნიდან?

ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრა არ მიეკუთვნებოდა ჩვეულებრივ ამხანაგურ შეჯიბრებათა რიგს. მე უფრო ტოკიოს ერთ-ერთი გაზეთის აზრს ვემხრობი, რომელმაც ამ შეხვედრისადმი მიძღვნილ წერილს სათაურად წაუმძღვარა: „დაზვერვა ბრძოლით“.

იმისათვის, რომ უკეთესად გავერკვიოთ საკითხში, კარგი იქნება პატარა ექსკურსი მოვახდინოთ, დავბრუნდეთ 1960 წლის სექტემბრის მზით განათებულ რომში. იქ, იტალიის დედაქალაქში, პირველად უკანასკნელი 8 წლის მანძილზე, იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა შეძლეს გუნდურ ჩათვლაში გადაესწროთ საბჭოთა სპორტსმენებისათვის, რაზედაც ოცნებობდნენ იაპონელები მელბურნში და რისთვისაც ისინი თავგანწირვით იბრძოდნენ მელბურნში, განხორციელდა რომის ოლიმპიურ ასპარეზზე. 575,20 ქულა ჩვენი 572,70 ქულის საპირისპიროდ — ასეთი იყო გუნდური ბრძოლის გამოსახულება ციფრებში იაპონელ და საბჭოთა ნაკრებებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ პირად ჩათვლაში აბსოლუტური ჩემპიონის წოდება დამაჯერებლად მოიგო ბორის შახლინმა, ხოლო ცალკეულ იარაღებზე ოთხში — ექვსიდან — ოქროს მედლები მოიპოვეს ისევ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, მაინც მოგვიხდა დამარცხება ხიმწვავის გადატანა. საჭირო გახდა შეგვეცნო, საკუთარ თავში გადაგვხარშა და შემოქმედებითად გაგვეზიარებინა მომხდარი, გვეფიქრა იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება იყო საჭირო მომავალში.



პ. სტოლბოვი

და აი, პირველად რომის შემდეგ, ეს ორი ეროვნული ნაკრები, რომლებიც უძლიერესებად ითვლებიან მსოფლიოში, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ სწორედ იმ ადგილზე, სადაც სამი წლის შემდეგ შედგება მორიგი ოლიმპიური „დავა“.

ამ შეხვედრის შედეგები უკვე ცნობილია. ბ. შახლინისა და ი. ტიტოვის არყოფნის მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა მეტად დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 289,60:288,60. მაგრამ ეს ციფრები არაფერს გვეუბნებიან ორთაბრძოლების ხასიათზე და სპორტსმენთა ძალაზე.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შევხვდით იაპონელთა 1961 წლის გუნდს, რომელიც მთლიანად 1964 წელზე ფიქრებით არის დაკავებული. მახპინძელთა გუნდი ფაქტიურად ჩვენი მუდმივი მეტოქეებია ახალი შემადგენლობა იყო. წასული ვეტერანების ნაცვლად მოვიდა ნიჭიერი, ერთნაირად ძლიერი ახალგაზრდობა. იაპონიის ნაკრების ყოველი სპორტსმენი შესანიშნავი მრავალჭიდოსანია. ისინი ერთნაირი ოსტატობით და დახვეწილობით ასრულებენ ვარჯიშებს ყველა ექვს იარაღზე. ეს განსაკუთრებით ცხადი იყო 20 და 21 ოქტომბერს ქალაქ ოსაკაში გამართული შეჯიბრების დროს, სადაც მიმდინარეობდა ასპარეზობა ცალკეულ იარაღებზე. ამასთან, თვალში გეცემოდათ ის გარემოებაც, რომ იაპონელებმა, ბოლოსდაბოლოს „ბოლო მოუღეს“ თავიანთ ქრონიკულ ნაკლს — სუსტ ფიზიკურ მომზადებას. ახლა ისინი ისევე იბრძვიან უკანასკნელ ვარჯიშებში, როგორც შეჯიბრების დასაწყისში.

ახლა ცალკეული სპორტსმენების შესახებ: რით იყო გამოწვეული იაპონელთა ლიდერის — ტაკასი ონოს შედარებითი არასახარბიელო შედეგები ამ მატჩში? ხომ არ გამოდის იგი მწყობრიდან? არავითარ შემთხვევაში!. ჩვენ ვნახეთ, რომ ონომ მნიშვნელოვნად გააძლიერა კომბინაციები ზოგიერთ იარაღზე, გაართულა ისინი. ეს ახალი კომბინაციები მას ჯერ კიდევ ბოლომდე არა აქვს შესწავლილი და დამუშავებული და სწორედ ამან გამოიწვია მისი დაბალი შედეგებიც. ერთი სიტყვით, ტაკასი ონო ხაუცხოო ხაბრძოლო მზადყოფნაშია და მუშაობს შორს, 1964 წელზე გამიზნებით.

მთელი იაპონური გუნდიდან ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ი. ენდომ. ეს შესანიშნავი მრავალჭიდოსანია, მეტისმეტად ნიჭიერი და ნებისყოფიანი ტანმოვარჯიშე. უეჭველია, რომ უახლოეს წლებში მსოფლიო ტანვარჯიშულ ცაზე იგი პირველი სიდიდის ვარსკვლავად აკიაფდება. მახპინძელთა ნაკრებში ჩვენ პირველად ვიხილეთ ახალგაზრდა სპორტსმენები იამახიტა და ნაგახავა. ისინი თავიანთი უფროსი ამხანაგების ღირსეული პარტნიორები არიან.



როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში ჩატარდა საკავშირო გუნდური პირველობის მეოთხედფინალი კრივში. ეს ფოტო ასახავს ამ დაძაბული ბრძოლის მომენტს. რინგზე არიან მძიმეწონიანები აბრამოვი და იზოსანოვი.

კრივის ამბები

ლასლო პაპი კვლავ რინგზეა

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლასლო პაპი (უნგრეთი) დიდი წარმატებით იბრძვის ევროპის ქვეყნების უძლიერეს პროფესიონალურ მოკრივეებთან. მან გადაწყვიტა მატჩი გამართოს ევროპის ჩემპიონთან, ამიტომ ინტენსიურად ემზადება ამ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის. პაპმა გამოიწვია ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე საშუალო წონაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი პეტერ მიულერი.

10 ათასი მაყურებელი მოვიდა ამ მატჩზე, რომელიც ქ. კელნში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გაიმართა, გერმანელმა პაპს ცხარე ტემპი შეთავაზა, მაგრამ პირველივე რაუნდში გამოაშკარავდა, რომ მიულერი კარგად ვერ იცავდა თავს პაპის საყვარელი დარტყმებისაგან მარჯვნიდან. პირველ რაუნდში პაპმა ერთგვარ უპირატესობას მიაღწია, მაგრამ გერმანელი მედგრად განაგრძობდა ბრძოლას. მეორე რაუნდში ბრძოლა კიდევ უფრო გაცხარდა და ახლა უპირატესობა მიულერის მხარეს გადავიდა. მაგრამ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ოსტატურად დაიცვა თავი და უკუაგდო მეტოქე.

ფ. პატერსონი კანადაში

მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ამერიკელი ზანგი ფლოიდ პატერსონი ჩავიდა ტორონტოში (კანადა). აქ იგი შეხვდება კანადის ჩემპიონ მაკ ნეილს.

მ. ნეილი ამ ბოლო ხანებში დაწინაურდა და რამდენიმე თვალსაჩინო გამარჯვებაც მოიპოვა. მისი მომავალი მატჩი ფ. პატერსონთან ფართოდ იქნა რეკლამირებული კანადისა და სხვა ქვეყნების სპორტულ პრესაში, როგორც კრივის სეზონის ცენტრალური მოვლენა და მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი" იუწყება, მხარეები უკვე შეთანხმდნენ, რომ შეხვედრას ამბანგური ხასიათი ექნება და ფ. პატერსონი დამარცხების შემთხვევაშიც კი შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას. თუ მატჩს მოიგებს კანადელი მოკრივე, მას ეძლევა უფლება იბრძოლოს მსოფლიო ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

ავსტრიელთა დამარცხება

ამ დღეებში ზაგრებში (იუგოსლავია) შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა ფართო წრეებში. იუგოსლაველთათვის მატჩს საწვრთნელი მნიშვნელობა ჰქონდა მათი გადამწყვეტი შეხვედრის წინ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ეტაპზე სამხრეთ კორეაში, რაც შეეხება ავსტრიის ნაკრებს, მას ზედიზედ მეათე მატჩი უნდა ჩაეტარებინა დაუმარცხებლად.

იუგოსლაველებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი სტაიერი

1932 წელი. ლოს-ანჟელოსის ოლიმპიური სტადიონი. წინაღობებით 3000 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ოქროს მედლის მოსაპოვებლად სტარტზე გამოდიან მსოფლიოს უძლიერესი მძლეოსნები. შუა დისტანციიდან შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ფინელი ვოლმარ ისოჰოლო. მას ხელიდან არ გაუშვია ლიდერობა და ფინიშთანაც პირველი მივიდა. ახალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა აჩვენა 10.33,4, გამარჯვებული უკმაყოფილო იყო შედეგით. იგი მივიდა მსაჯებთან და გაკვირვებულმა იკითხა:

— ნუთუ ამდენი დრო მოვანდომე მანძილის დაფარვას. გარბენში ხომ 9:14,6 ვაჩვენე. ფინალში რბენის ტემპი მე მგონი უფრო მაღალი იყო!

მსაჯები შეცბუნდნენ, ხელახლა გადახედეს ოქმებს, რბენის მიმდინარეობის მასალებს და აღმოჩნდა, რომ ისოჰოლო მართალი ყოფილა. მას და მის კოლეგებს ერთი წრით მეტი ურბენიათ. ამ ფაქტმა ყველაფერი არია. „დამატებით" წრემდე მეორე იყო ამერიკელი ჯ. მაკი კლასკი. შემდეგ ეს ადგილი დაისაკუთრა ინგლისელმა ვვენსონმა. გამარჯვებულთა დაჯილდოების დროს ვვენსონმა უარი თქვა მიეღო ვერცხლის მედალი, ამტკიცებდა, რომ იგი ამერიკელს ეკუთვნოდა და არა მას. ამერიკელმა უარი თქვა ვვენსონის მიერ „შეთავაზებულ" ვერცხლზე და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ფინელმა მძლეოსანმა ამ დისტანციაზე პირველობა არც ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე დაუთმო არავის და ამის შემდეგ იგი სარბენ ბილიკზე აღარ გამოსულა. მას წინ აღუდგა გადაულახავი წინაღობა — მძიმე ავადმყოფობა, რომელმაც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლოგინს გააკრა. გადიოდა წლები, ისოჰოლოს სიცოცხლე კვლავ საფრთხეში იყო, და აი იგი ჩაიყვანეს ჩეხოსლოვაკიაში და მოათავსეს კურორტ პიეშტიანის სანატორიუმში, სადაც იგი ერთი თვის განმავლობაში მკურნალობდა. ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის დიდი ზრუნვის შედეგად ისოჰოლო დიდი ხნის შემდეგ პირველად დადგა ფეხზე. უკვე გამოჯანმრთელებული იგი პრაღას ესტუმრა, სადაც შეხვდა სახელგანთქმულ ჩეხ მორბენალს ე. ზატოპეკს. სურათზე აღბეჭდილია ორი ოლიმპიური ჩემპიონის შეხვედრის მომენტი.

— მე კიდევ შემიძლია მეტოქეობა გაგიწიო, — ხუმრობით ეუბნება ისოჰოლო ე. ზატოპეკს.

მანჩესტერი. აქ გაიმართა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციების წარმომადგენელთა თათბირი, სადაც გადაწყდა 1962 წლიდან დაწესდეს ამ ოთხი ქვეყნის გუნდების თასის ტრადიციული გათამაშება.

* * *

ბერნი. ტ. ზაილერის კვალს გაჰყვა ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი სლალომში, შვეიცარელი რ. შტაუბი. მან თავის მშობლიურ ქალაქ აროსაში დააარსა პროფესიონალ სპორტსმენთა კავშირი და ამას გარდა, ამიერიდან მონაწილეობას მიიღებს ფილმებშიც.

* * *

ლიდსი (ინგლისი). ლონდონში გამანადგურებელი ანგარიშით წაგების (0:20) შემდეგ აშშ-ს მოყვარულ მოკრივეთა ნაკრებმა აქ გამართა თავისი მეორე შეხვედრა. ამჟამად მისი მეტოქე იყო ინგლისის მეორე ნაკრები. მატჩი დამთავრდა ფრედ — 8:8.

* * *

ჰამბურგი. შედგა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში „ჰამბურგერ შპორტფერაინსა" და „მილანს" შორის. იტალიელთა ძლიერმა თავდასხმამ ალტაფინის ხელმძღვანელობით ვერაფერი დააკლო გერმანელთა დაცვას და მეკარე შნორორს. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც იტალიელთა კარში გაიტანა უ. ზელვერმა (№ 9). საყურადღებოა, აღინიშნოს, რომ ამ განთქმულმა „სნაიპერმა" ეროვნულ ჩემპიონატში უკვე მოასწრო 15 ბურთის გატანა. თუმცა ტურნირის სამი მეოთხედი ჯერ კიდევ წინაა.

ბუქარესტი. ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-სა და რუმინეთის ნაკრები გუნდები რეგბში. რუმინელები მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებიან სპორტის ამ სახეობაში. ისინი ემზადებიან შეხვდნენ ფრანგ რეგბისტებს, რომლებიც ასევე მაღალი საერთაშორისო კლასის მოთამაშეები არიან. რუმინელებმა ოიოლად სძლიეს გერმანელებს. ანგარიში ჭეშმარიტად ასტრონომიულია — 27:0!

ს. მეტიუზის განცხადება

ფეხბურთის ვეტერანმა ს. მეტიუზმა ამას წინათ ლონდონში პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს დატოვოს თავისი კლუბი „ბლეკპული". ამ კლუბში მეტიუზი, რომელიც თავის საუკეთესო წლებში მსოფლიოს უძლიერეს მარჯვენა გარემარბად და „მცველთა რისხვად" ითვლებოდა, იმყოფება 1946 წლიდან. მეტიუზმა ინგლისის ნაკრებში 87 თამაში ჩაატარა.

როგორც მეტიუზმა ჟურნალისტებს უთხრა, მას გადაწყვეტილი აქვს გადავიდეს თავის ძველ კლუბ „სტოკ სიტში", სადაც ახალგაზრდობის წლები გაატარა. „სტოკ სიტი" ამჟამად მეორე ლიგაში თამაშობს. მეტიუზის ეს განცხადება იმაზე არ მეტყველებს, რომ მან განზრახული აქვს თამაშს თავი დაანებოს. პირიქით, როგორც მეტიუზს არაერთხელ უთქვამს, იგი აპირებს ითამაშოს 50 წლამდე და ამით თავისებური რეკორდი დაამყაროს ფეხბურთის ისტორიაში.

უსახელო დუეტი

ცნობილი ინგლისელი მორბენალი გ. პირი პროფესიონალთა რიგებში გადასხლდა და კორიდან მოყვარულებს ართობს. გარდა ამისა, იგი თავის ამხანაგ სპორტსმენებზე ავრცელებს ჭორებს, ლაფში სვრის მათს სახელს. მან ესეც არ იკმარა და გადაწყვიტა მძლეოსანთა ცირკის ორგანიზება. „საკმარისია ამის გამოცხადება და ცირკში მონაწილეობის მრავალი მსურველი აღმოჩნდება", — განაცხადა მან ტრაბახით. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიღგა, მისი შესრულება არც ისე იოლი გამოდგა: გ. პირიმ მრავალ გამოჩენილ მძლეოსანს გაუგზავნა მიწვევა. უმრავლესობამ მას პასუხიც კი არ აღირსა, ხოლო რამდენიმე სპორტსმენმა „ცირკში" მონაწილეობაზე სასტიკი უარი განუცხადა. მხოლოდ ერთმა მძლეოსანმა — ინგლისელმა ჯ. ვუდმა გადაწყვიტა გ. პირის გზაზე დადგომა. „ჩემთვის ფული ყოველგვარ სახელზე ძვირფასია. ყოველგვარი ხერხი კარგია თუ ბევრ ფულს მოხვეტავ", — გულახდილად აღიარა მან.

ახლა პირის შეუძლია შექმნას საცირკო ანსამბლი ორი კაცის შემადგენლობით და... ჩქარა რბენას დაიწყებს დუეტი, რომელშიც გ. პირი და ჯ. ვუდი იქნებიან.

ჯ. ჯ. კრიმსკი

გარდაიცვალა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" თანამშრომელი, ფოტოკორესპონდენტი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე კრიმსკი.

ჯ. კრიმსკის ფოტოსურათები კარგადაა ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. ნიჭიერი ოსტატის ფოტოსურათებს არაერთხელ მიეღიათ მაღალი შეფასება მხატვრული ფოტოგრაფიის საკავშირო გამოფენებზე.

გულისხმიერი და თავმდაბალი ამხანაგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა აქტიურ და შემოქმედებითს შრომას. მისი სიცოცხლე სამაგალითო იქნება ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის.

ჩინებული ამხანაგი და შეგობარი — ასეთად დარჩება კონსტანტინე კრიმსკი ჩვენს ხსოვნაში.

ამხანაგები

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05697